



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ ა ო ც მ ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„29“ „05“ 2015 წელი

ეგზ N2

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

აუდიტორული დასკვნა *43/00*

ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგება	8
ფორმა N1 - ბალანსი	8
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	9
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	10
ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	10
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	11
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	12
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (გაგრძელება)	12
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (გაგრძელება)	13
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	14

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდეგში „დეპარტამენტი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება

- „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით¹ უცხოური ვალუტით გამოსახული აქტივის/ვალდებულების ღირებულება უნდა დაკონვერტირდეს ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, რასაც დეპარტამენტი დებიტორული დავალიანებების ანგარიშთან მიმართებით არ ასრულებს. დეპარტამენტის მიმართ ევროში არსებული დებიტორული დავალიანების საწყისი (2012 წლის 31 დეკემბერი) და საბოლოო (2013 წლის 31 დეკემბერი) ნაშთები არ არის შეფასებული ოფიციალური გაცვლითი კურსებით. შედეგად 2012 წლის 31 დეკემბრისათვის დებიტორული დავალიანება შეფასებულია 479,096 ლარით, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,464,535 ლარით ნაკლები ღირებულებებით.

- ანალოგიურად, არ არის გადაფასებული კრედიტორული დავალიანების საწყისი (2012 წლის 31 დეკემბერი) და საბოლოო (2013 წლის 31 დეკემბერი) ნაშთები, რის შედეგადაც 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანება შეფასებულია 42,601 ლარით ნაკლები ღირებულებით, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 275,894 ლარით ნაკლები ღირებულებით.

	ევრო EUR	ექვივალენტი GEL	ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით	სხვაობა
დებიტორული დავალიანება				(2,943,632)
01.01.2013	6,221,732	13,099,835	13,578,931	(479,096)
01.01.2014	8,412,854	17,634,613	20,099,149	(2,464,536)
კრედიტორული დავალიანება				(318,495)
01.01.2013	723,103	1,536,145	1,578,746	(42,601)
01.01.2014	870,571	1,806,511	2,082,405	(275,894)

ძირითადი საშუალებები

- დეპარტამენტის ბალანსზე არსებულ რამდენიმე გზასთან დაკავშირებით აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიძია ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული გზების ისტორიული ღირებულება შეადგენს 1,083,019,269 ლარს. ასევე არ არსებობს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის დასკვნა აღნიშნული გზების საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით, შესაბამისად შეუძლებელია გზების ღირებულების დადასტურება.

- აუდიტის ჯგუფმა ვერ მოვიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, დაუმთავრებელი მშენებლობის 2013 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთების შესახებ. დაუმთავრებელი მშენებლობის საწყისი ნაშთი დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშგების მიხედვით შეადგენს 796,065,291 ლარს. დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი მოიცავს უცხოური სესხებით განხორციელებული პროექტების ღირებულებას, რაც შეადგენს 608,989,907 ლარს (76%). აღნიშნული პროექტების ფინანსურ მენეჯმენტს უზრუნველყოფს სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი“ (შემოკლებით „სატრანსპორტო დერეფანი“). იგი ყოველკვარტალურად გადმოსცემს დეპარტამენტს ინფორმაციას შემსრულებელი ორგანიზაციების მიერ შესრულებული და სატრანსპორტო დერეფნის მიერ ანაზღაურებული სამუშაოების შესახებ რეესტრის სახით, სადაც შესაძლებელია თითოეული კონტრაქტისა და სამუშაოს იდენტიფიკაცია. მიუხედავად ამისა დეპარტამენტის საბუღალტრო

¹ მუხლი 10

აღრიცხვის პროგრამაში კონკრეტული პროექტები არ აღირიცხება გამოყოფილად, რაც ართულებს მათ შესახებ ინფორმაციის იდენტიფიცირებას.

ზემოთ მოცემული აქტივების შესახებ დეპარტამენტის საბუღალტრო ჩანაწერებში ინფორმაციის სიმცირის გამო, შეუძლებელია მოსაზრების გამოთქმა ძირითადი საშუალებების 2013 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორის შესახებ.

- დეპარტამენტი გზების ცვეთის აღრიცხვისთვის იყენებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებას², თუმცა არასწორად. ბრძანებით განსაზღვრულია სხვადასხვა ნაგებობებისათვის სხვადასხვა ნორმები, ისე როგორც ეს ცხრილშია მოცემული:

<u>აქტივი</u>	<u>ცვეთის წლური პროცენტი</u>
ცემენტბეტონი	2.0%
ასფალტბეტონი	3.2%
ამაღლებული გზები	2.5%
ხიდები	1.0%
დამაკავებელი და დამცავი ნაგებობანი	1.7%
სადრენაჟო და წყალსარიანი ნაგებობანი	3.6%

დეპარტამენტი ნაცვლად ზემოთ მოცემული ნორმებისა იყენებს მხოლოდ ორ ნორმას: 3.2% და 2.0%. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ დეპარტამენტს არ გააჩნია ზუსტი აღრიცხვა ცემენტბეტონის, ასფალტბეტონის, ამაღლებული გზების, ხიდების და სხვა იმ აქტივების კატეგორიების მიხედვით რომლებისთვისაც განსაზღვრულია ცვეთის ნორმები ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულებები 2013 წელს დეპარტამენტის მიერ ძირითადი კაპიტალის მოხმარების სისწორეზე, რომელიც ბალანსის დანართი №3 მიხედვით შეადგენს 58,660,376 ლარს.

- 2013 წლის 27 დეკემბერს დეპარტამენტსა და შემსრულებელ კომპანიას შორის, გაფორმდა 812,633 ლარის ღირებულების სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი³. აღნიშნული ოპერაცია დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში, ნაცვლად 2013 წლისა აისახა 2014 წელს. აღნიშნული იწვევს ძირითადი საშუალებების ანგარიშის 2013 წლის საბოლოო ნაშთის შესაბამისი თანხით შემცირებას.

მატერიალური მარაგები

- 2012 წელს განხორციელდა ზუგდიდი-ანაკლიის ს/გზის 21-ე კმ-ზე მდ. ჯუმზე არსებული სახიდე გადასასვლელის დემონტაჟი ღირებულებით 98,253 ლარი რომელიც შესაბამისი აქტის საფუძველზე გადაეცა შემნახველ ორგანიზაციას. გადაცემის შესაბამისი აქტი გაფორმდა 2012 წლის 15 ივნისს, თუმცა დეპარტამენტის საბუღალტრო მონაცემებში აისახა დაგვიანებით 2013 წელს.

2012 წელს თბილისის შემოსავლელი ს/გზის 47-ე კმ-ზე მდ. მტკვარზე სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს განხორციელდა 28,437 ლარის ღირებულების კონსტრუქციის ძველი ნაწილის დემონტაჟი, რომელიც შესაბამისი აქტის საფუძველზე გადაეცა შემნახველ ორგანიზაციას. აქტი გაფორმდა 2012 წლის 10 აგვისტოს, ხოლო დეპარტამენტის ბუღალტრულ მონაცემებში აისახა დაგვიანებით 2013 წელს.

² 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება, მუხლი 14.

³ შ-93 ნოსირი-გეჯეთი-ნოქალაქევი

სერთო ჯამში 126,690 ლარის მარაგების მიღება, რომლებიც უნდა ასახულიყო 2012 წელს აისახა 2013 წელს, რამაც გამოიწვია 2013 წლის მარაგების მიღების ზრდა და 2012 წლის მარაგების საბოლოო ნაშთის შემცირება იმავე თანხით.

ხარჯები

შპს „ავტოგზალენტები-99“-მა დეპარტამენტს შეუსრულა 47,392 ლარის ღირებულების სამუშაო. აღნიშნული სამუშაოები შესრულდა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2013 წელს, ხოლო დეპარტამენტის ბუღალტრულ ჩანაწერებში გატარდა 2014 წელს⁴.

შპს"საქართველოს სამხედრო გზა"-მ დეპარტამენტს შეუსრულა 96,946 ლარის ღირებულების სამუშაო. აღნიშნული სამუშაოები შესრულდა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2013 წლის 31 დეკემბერს, ხოლო დეპარტამენტის ბუღალტრულ ჩანაწერებში გატარდა 2014 წელს.

უარყოფითი მოსაზრება

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად არ ასახავს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

⁴ სტიქიის ხარჯების ანგარიში - 7292

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დებიტორული დავალიანება


- 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით დეპარტამენტის დებიტორია შპს „გზა-2005“⁵, რომლის დავალიანება წარმოშობილია 2010 წელს და შეადგენს 21,984 ლარს. დეპარტამენტს არ განუხორციელებია ქმედება აღნიშნული თანხის მისაღებად.

სსიპ „ვერაზიის სატრანსპორტო დერეფანი“

2013 წლის ბიუჯეტის კანონით დეპარტამენტს მინიჭებული აქვს პროგრამული კოდი (2502), მოცემული კოდიდან 2013 წელს გახარჯულმა თანხამ შეადგინა 522,990,166 ლარი. ამავე დროს მოცემული თანხიდან დეპარტამენტმა ფინანსური მენეჯმენტი გაუწია მხოლოდ 304,772,531 ლარის ხარჯვას, (58%) ხოლო დანარჩენი 218,217,635 ლარის ხარჯვას ფინანსურ მენეჯმენტს უწევდა სატრანსპორტო დერეფანი. 2013 წლის განმავლობაში სატრანსპორტო დერეფნის მიერ შესრულებული 151,961,408 ლარის⁶ ღირებულების სამუშაოები გადაეცა დეპარტამენტს ფინანსური აქტივის სახით, ხოლო დარჩენილი 66,256,227 ლარის ხარჯები რჩება სატრანსპორტო დერეფნის-ს ბუღალტრულ მონაცემებში და აისახება მის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დეპარტამენტი არ აკონსოლიდირებს სატრანსპორტო დერეფნის საბუღალტრო ინფორმაციას და შესაბამისად არ აქვს ინფორმაცია მის სახაზინო კოდიდან გახარჯული სახსრების შესახებ (66,256,227 ლარი).

აუდიტორთა ხელმოწერა:

ქართლოს სახვაძე		გიორგი ხითარიშვილი	
ირაკლი ვაშაყმაძე		გიორგი ბუკია	
თამარ ფიცხელაური		მირიან შარიქაძე	
შმაგი ჯოჯიშვილი			

⁵ საიდენტიფიკაციო კოდი #243854824

⁶ დაუმთავრებელ მშენებლობა 144,244,213 ლარი და მიწა 7,717,195 ლარი, სულ 151,961,408 ლარი

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1 - ბალანსი

	31.12.2012	31.12.2013
აქტივები		
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	15,298	21,898
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	244,501	403,804
გადახდილი დღგ	229,740	11,828
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	6,783	6,783
სხვა საგადასახადო აქტივი	297	297
მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	44,363	44,363
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	-	825,126
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	-	50,533,176
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	8,808	8,808
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	-	355
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	43,713,053	-
სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1,981,226	7,500,506
სულ ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	46,244,069	59,356,944
არაფინანსური აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები	5,026,109	4,938,204
შენობა-ნაგებობები	1,486,245,648	1,555,567,607
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	8,557,475	2,753,843
სხვა ძირითადი აქტივები	186,850	15,031
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	842,277,571	1,088,158,731
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	123,762	100,397
არაწარმოებული აქტივები	17,393,707	27,080,318
სულ არაფინანსური აქტივები	2,359,811,122	2,678,614,131
სულ აქტივები	2,406,055,191	2,737,971,075
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	259,799	425,702
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	2,024,207	243,325
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	2,935,493	2,671,003
მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	-	626,876
აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	8,897,602	17,255,214
სულ ვალდებულებები	14,117,101	21,222,120
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	2,391,938,090	2,716,748,955
სულ კაპიტალი	2,391,938,090	2,716,748,955
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2,406,055,191	2,737,971,075
საცნობარო მუხლები		
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	237,554	273,054
გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	41,542	41,542
ვადაგადაცილებული დავალიანებები	14,117,101	21,222,120
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	417,573	465,761

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	3,700,000	3,930,000	3,930,000	3,929,781	3,929,781	3,929,263	(518)
1.2 საქონელი და მომსახურება	39,520,000	40,855,000	40,750,538	40,709,614	40,709,614	41,535,357	825,743
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	58,660,376	58,660,376
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	21,755,586	21,755,586
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	50,000	47,000	46,800	31,528	31,528	31,528	-
1.8 სხვა ხარჯები	2,020,000	1,209,000	948,947	918,149	918,149	3,067,241	2,149,092
სულ ხარჯები	45,290,000	46,041,000	45,676,285	45,589,072	45,589,072	128,979,351	83,390,279

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1.1 ძირითადი აქტივები	-	-	253,130,878	251,734,172	251,734,172
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	2,204,807	2,204,807	2,204,807
სულ ხარჯები	-	-	255,335,685	253,938,979	253,938,979

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-
1.1 საშინაო	-	-	-	-	-
1.2 საგარეო	-	-	-	-	-
1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	-	-	-	-	-
2. ვალდებულებები	9,500,000	5,245,000	5,244,480	5,244,480	5,244,480
2.1 საშინაო	-	-	5,244,480	5,244,480	5,244,480
2.2 საგარეო	-	-	-	-	-
სულ ხარჯები	9,500,000	5,245,000	5,244,480	5,244,480	5,244,480

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

წმინდა ღირებულება 31/12/2012	2,391,938,090
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(3,929,263)
საქონელი და მომსახურება	(41,535,357)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(58,660,376)
გრანტები	(21,755,586)
სოციალური უზრუნველყოფა	(31,528)
სხვა ხარჯები	(3,067,241)
აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	(1,161,133)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(640,697)
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *	(1,608,078)
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	(162)
სულ სადებეტო ბრუნვა	(132,389,421)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	304,772,531
შემოსავლები	139,414
აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	151,961,408
სხვა ეკონომიკური ნაკადები	326,933
სულ საკრედიტო ბრუნვა	457,200,286
წმინდა ღირებულების ცვლილება	324,810,865
წმინდა ღირებულება 31/12/2013	2,716,748,955

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

მიღება				გასვლა		
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	საქონელი და მომსახურებით	ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
1. მატერიალური მარაგები	5,026,109	336,364	265,467	92,220	597,516	4,938,204
1.2.1. ნედლეული და მასალები	23,459	-	-	-	-	23,459
1.2.5 ფულადი დოკუმენტები	224,140	272,179	-	-	473,420	22,899
1.2.6 სათადარიგო ნაწილები	8,433	25,696	-	-	17,582	16,547
1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	4,770,077	38,489	265,467	92,220	106,514	4,875,299

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (გაგრძელება)

მიღება				გასვლა	
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	სხვა შემოსავლებით	საქონელი და მომსახურებით	ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	123,762	35,762	730	59,857	100,397
4. ფასეულობები	-	-	-	-	-
5. არაწარმოებული აქტივები	17,393,707	9,686,611	-	-	27,080,318
5.1 მიწა	17,393,707	9,686,611	-	-	27,080,318
სულ	17,517,469	9,722,373	730	59,857	27,180,715

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (გაგრძელება)

მიღება							გასვლა						
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	სხვა შემოსავ ლებით	სხვა ეკონომი კური ნაკადები თ	საკუთა რი სახსრებ ით კაპიტა ლის შექმნა	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლო დ	აქციების ა და სხვა კაპიტალ ის სახით	გრანტები თ	სხვა ხარჯები თ	სხვა ეკონომ იკური ნაკადებ ით	ძირითად ო კაპიტალი ს მოხმარება	ნაშთი წლის(პერიოდის თვის) ბოლოს
2.1.2 არასაცხ. შენობები	2,489,975	-	67,759	-	-	-	-	-	-	-	-	27,734	2,530,000
2.1.3 საგზაო მაგისტრალები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2.1.4 ქუჩები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2.1.5 გზები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2.1.6 ხიდები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2.1.7 გვირაბები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2.1.11 სხვა შენობა- ნაგებობები	1,483,755,673	-	127,446,660	-	176,890	-	-	-	-	-	265,467	58,076,149	1,553,037,607
2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	8,557,475	-	788,995	138,684	32,000	-	13,253	6,119,280	-	-	76,873	553,905	2,753,843
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	186,850	-	7,659	-	-	-	-	-	-	-	176,890	2,588	15,031
2.4 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	842,277,571	19,849,713	250,997,071	-	21,478	92,220	1,147,880	-	21,755,586	2,119,625	56,231	-	1,088,158,731
სულ	2,337,267,544	19,849,713	379,308,144	138,684	230,368	92,220	1,161,133	6,119,280	21,755,586	2,119,625	575,461	58,660,376	2,646,495,212

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ფორმა N5-1 ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
ფინანსური აქტივები	-	-	-	-
ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	29,466
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	29,466

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	რაოდენობა	ლირებულზე	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება	63	7,029,349	352,268	69,111	256,079	27,078	524,452	69,111	436,075	19,266
სულ:										
მსუბუქი	9	172,204	62,257	6,478	52,039	3,740	60,017	6,478	52,039	1,500
ჯიპები და პიკაპები	34	777,123	281,441	61,254	196,849	23,338	455,865	61,254	376,845	17,766
სპეც დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები	20	6,080,022	8,570	1,379	7,191	-	8,570	1,379	7,191	-

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. დეპარტამენტი თავის საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, სამინისტროს დებულების და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.

დეპარტამენტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საავტომობილო გზების ფუნქციონერების ორგანიზება, მართვა, ზედამხედველობა და კონტროლი;
- საავტომობილო გზების სფეროში იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომლის მონაწილეც არის საქართველო;
- საავტომობილო გზების განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა და მათი რეალიზაცია;
- საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციისა და მშენებლობისათვის შესაბამისი სახსრების, მათ შორის ინვესტიციების, მოზიდვა და მიზნობრივი ხარჯვის ორგანიზაცია, აგრეთვე ამ საკითხებთან მიმართებაში სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციის შესრულება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სატენდერო პირობების მომზადება და რეალიზაცია;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა პროგრამების, ეროვნული სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების შემუშავებაში მონაწილეობა; დეპარტამენტის ყოველწლიური ობიექტებისა და სამუშაოების გეგმების დამტკიცება;
- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დარგში მიმდინარე შეკეთების, რეაბილიტაციის, აგრეთვე კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზაცია, გზის მიმდებარე ზოლში ინფრასტრუქტურის განვითარების რეგულირება და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისა და განვითარების საქმიანობათა დადგენილი წესით შეთანხმება, აგრეთვე თავისი კომპეტენციის სფეროში შემავალი იმ სამუშაოების პროექტირება, რომლებიც არ საჭიროებენ საპროექტო კვლევა-ძიებას;
- საავტომობილო გზების დარგში სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტების, გრანტების, პროგრამებისა და სხვა დაფინანსებით მიღებული სახსრების მართვა, მათი ხარჯვის და რეალიზაციის მონიტორინგი; საინვესტიციო პროექტებით დაფინანსებული საგზაო სამუშაოების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება და მათი რეალიზაციის მონიტორინგი;
- საგზაო სამუშაოების მიმდინარეობის შერჩევითი შემოწმება, სატენდერო-საპროექტო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მესამე პირების მიერ დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დეპარტამენტის საშტატო განრიგით 2013 წელს თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 216, ხოლო შტატგარეშეთა რიცხოვნობა 19 ერთეულს

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

სააგენტოს საქმიანობის მიმოხილვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ადმინისტრაცია (სამმართველო);
- ბ) ფინანსების მართვის სამმართველო;
- გ) სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო;
- დ) იურიდიული სამმართველო;
- ე) საერთაშორისო პროექტების სამმართველო;
- ვ) საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველო;
- ზ) საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და აუდიტის სამმართველო;
- თ) საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველო;
- ი) საავტომობილო გზების განვითარების და განსახლების სამმართველო;
- კ) საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო.

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და ამოცანებია:

- **ადმინისტრაციული სამმართველოს** ფუნქციებია დეპარტამენტის ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზება; დეპარტამენტის შინაგანაწესის შემუშავება და დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მონაწილეობით მის განხორციელებაზე კონტროლის გაწევა; დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება, მოსამსახურეთა შრომის წიგნაკებში შესაბამისი ჩანაწერების შეტანა;
- **ფინანსების მართვის სამმართველოს** ფუნქციებია დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და მოთხოვნების საფუძველზე დეპარტამენტის ბიუჯეტის პროექტის ფორმირება; დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად მატერიალური რესურსების აღრიცხვა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან დეპარტამენტისათვის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების და განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე კონტროლის და მონიტორინგის განხორციელება.

- **სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს** ფუნქციებია საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში დეპარტამენტის მიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და მოდერნიზაციის შესასრულებელ სამუშაოებზე შესყიდვების განხორციელების ორგანიზება; დეპარტამენტის ფუნქციონირებისათვის განსახორციელებელი შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე საბიუჯეტო ასიგნებებით შესასყიდი სამუშაოებისა და მომსახურებათა წლიური გეგმის შედგენა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმება და მისი განხორციელების მონიტორინგი;
- **იურიდიული სამმართველოს** ფუნქციები და მოვალეობებია კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა, დეპარტამენტისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება და წარმოდგენილ პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების გაკეთება; კანონშემოქმედებით სფეროში საქართველოს პარლამენტთან, შესაბამის სამინისტროებთან, სხვა უწყებებთან დეპარტამენტის ურთიერთობების კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- **საერთაშორისო პროექტების** სამმართველოს ფუნქციებია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების მართვა, კოორდინაცია და მონიტორინგი; საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან განსახილველი საინვესტიციო პროექტების შესწავლა, მომზადება, წარდგენა, აგრეთვე, პროექტების ტექნიკური ხასიათის აუდიტი, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ინდიკატორების შეფასება; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დამტკიცებული რეკომენდაციებით, წესებითა და ინსტრუქციებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე, აგრეთვე გამოყოფილი კრედიტისა და გრანტის ათვისების მიმდინარეობაზე მონიტორინგის განხორციელება;
- **საავტომობილო გზების ადმინისტრირების** სამმართველოს ფუნქციებია და მოვალეობებია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სრულყოფა, მათი საექსპლუატაციო მაჩვენებლების სისტემატური ამაღლების ძირითადი მიმართულებების, მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის და მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ყოველწლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავება, დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმება და დასამტკიცებლად წარდგენა დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წინაშე;
- **საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და აუდიტის** სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესრულების მონიტორინგი, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი; ყოველი თვის დასაწყისში დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ მიმდინარე შეკეთების შესასრულებელ სამუშაოებზე მიღებული ინფორმაციის მომზადება და საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოში ანალიზისათვის გადაცემა; მიმდინარე შეკეთების სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგი, აგრეთვე ანალიტიკური ინფორმაციის წარმოდგენა თითოეულ ობიექტზე არსებული ვითარების შესახებ, ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად;
- **საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების** სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს ფუნქციებია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე გზების რეაბილიტაციის და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ყოველწლიური და

პერსპექტიული პროგრამების მომზადებაში მონაწილეობის მიღება; ყოველი წლის დასაწყისში დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ გარდამავალ ობიექტებზე შესასრულებელ სამუშაოებზე წარმოდგენილი საინვენტარიზაციო უწყისების და ხაზოვანი გრაფიკების გეგმებთან, ხელშეკრულებებთან და შესრულებებთან შესაბამისობის მონიტორინგი და კონტროლი, მათი დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა; ყოველი თვის ბოლოს შესრულებული სამუშაოების მიღებაზე კონტრაქტით განსაზღვრული საზედამხედველო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი სამუშაოების დამტკიცებულ გეგმებთან და ხელშეკრულებებთან შესაბამისობის შედარება და დადასტურება, შემდგომ მათი დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან წარდგენა;

- **საავტომობილო გზების განვითარების და განსახლების** სამმართველოს ფუნქცია-მოვალეობებია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების ყოველწლიური და პერსპექტიული პროგრამების მომზადებაში მონაწილეობის მიღება; მშენებლობის პროცესში წამოჭრილი პრობლემური საკითხების შესწავლა და მათი მოგვარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე წინადადებების მომზადება შემდგომი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;
- კ) **საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის** სამმართველოს ფუნქციებია კომპეტენციის ფარგლებში საავტომობილო გზებისა და მასზე არსებული ხელოვნურ ნაგებობათა მოვლა-შენახვის, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის და მშენებლობაში ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და მაღალეფექტური მასალების დანერგვა-გამოყენების საქმიანობის ხელშეწყობისა და კონტროლის უზრუნველყოფა;